ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7328091

ნომერი: AR11069525

თარიღი : 19.12.2024

გაცემის თარიღი : 26.12.2024

გაცნობის თარიღი : 26.12.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მე-4მ/რ, რიგი#2, #176 სკოლის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიგა სანაია პ/ნ 01018003506
- თბილისი ი.ქუთათელაძის 6 ბინა 4

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: რატი ხეცურიანი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: M Architecture
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 402067133

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს კომპაქტ ვარკეთილი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405568434
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიგა სანაია

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01018003506

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 7080230 (AR11035487)
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 13.06.2024

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს 11/12/2024 წლის №AR11069525 განცხადება.
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13/06/2024 წლის № 7080230 ბრძანებაში, მე–3 და მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, 3) მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 26 დეკემბრიდან 2027 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით" .

,,4) მშენებლობის ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. მოსამზადებელი სამუშაოები; საკ. გეგმის ნუმერაციით #01/1; 02/1 და 04/1 შენობანაგებობების დაშლა-დემონტაჟი. სამშენებლო მოედნის მოწესრიგება
2. შენობა-ნაგებობების გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება, გეოდეზიურდაკვალვითი სამუშაოები
3. მიწის სამუშაოები, დამცავი ღონისძიებების მოწყობა; ფუძისა და საძირკველის მოწყობა; ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა 0,00 ნიშნულამდე.
4. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა მონ. რკინაბეტონით ნიშნულებში 0,00 – 7,20 მეტრი;
5. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა მონ. რკინაბეტონით ნიშნულებში 7,20 – 13,80 მეტრი;
6. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა მონ. რკინაბეტონით ნიშნულებში 13,80 – 20,40 მეტრი;
7. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა მონ. რკინაბეტონით ნიშნულებში 20,40 – 27,00 მეტრი;
8. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა მონ. რკინაბეტონით ნიშნულებში 27,00 – 33,60 მეტრი;
9. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა მონ. რკინაბეტონით ნიშნულებში 33,60 – 40,20 მეტრი; აგრეთვე სახურავისა და გადახურვების მოწყობა.
10. არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა; საერთო სარგებლობის საინჟინრო ტექნიკური ქსელები მოწყობა; სამღებრო და მოსაპირკეთებელი სამუშოები
11. 03/1 და 05/1 შენობა-ნაგებობის დაშლა-დემონტაჟი. მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები

გაითვალისწინეთ: მშენებლობის ნებართვის მფლობელი (დამკვეთი) ვალდებულია “მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპის დასრულების ოქმი და სამშენებლო/სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას - დაჯარიმებას. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 1415 მუხლის შესაბამისად, შენობა-ნაგებობის მშენებლობისას მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოსთვის საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისთვის სამშენებლო სამართალდამრღვევს 2025 წლის 31 დეკემბრამდე არ დაეკისრება ამ კოდექსის 132-ე მუხლით გათვალიწინებული პასუხისმგებლობა.

3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13/06/2024 წლის № 7080230 ბრძანებასთან ერთად.

- საპროექტო ობიექტი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო წყალარინების (საკანალიზაციო) შიდა და გარე სისტემით.
- მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.